ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 12 1883—1898 30 ივნისი.

გაზეთის ფასი:

| „მწყემსი“ | | „მწყემსი“ რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 3 მან. | 12 თვით . . . | 5 მან. |
| 6 — . . . | 2 — | 6 — . . . | 3 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.

ძველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## საუბარი მდიდრულ ჩაცმა-დახურვის წინააღმდეგ

და სამოსლისათვის რასა ზრუნავთ? განიცადენით შროშანი ველისანი, ვითარ იგი აღორძინდის? არა ჰშურებიან, არცა სთავნ (მათ. 6, 28).

ჩვენს დროში ყველგან დიდი ყურადღებაა მიქცეული ჩაცმა-დახურვაზე. ყველანი ცდილობენ, რომ მოდის მოთხოვნილების თანახმად ჩაიცვან. უმრავლესობას დიდ სასირცხოდ მიაჩნია, თუ ძვირ-ფასად არ არის მორთული. რასაკვირველია, რომ რიგიანად ჩაცმა დახურვა საჭიროა. მაგრამ მომეტებული ზრუნვა, რომ, რაც შეიძლება, მდიდრულად ჩავიც-დავიხუროთ, უგნურობაა, მასთან ასეთი ზრუნვა არც ღვთისათვის არის სასიამოვნო. ერთი სიტყვით გადაპრანჭული ჩაცმა-დახურვა დამღუპველია ჩვენი სულისათვის.

«და სამოსლისათვის რასა ზრუნავთ?» ჩაცმა-დახურვის შესახებ ზრუნვა ნაყოფია ცოდვის. ადამ და ევა არ ზრუნავდენ ჩაცმა-დახურვაზე, ვიდრემდის მათ არ შესცოდეს ღმერთს. შეცოდებამდე ისინი არ საჭიროებდენ დაეფარათ თვისი სხეული სიცივისა,

* წარმოითქვა ყვირილის წმიდა ნინას ეკკლესიაში მესამე კვირიაკეს დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ.

სიცხისა, წვიმისა და თოვლისაგან, არც მტვერისა და სხვა-და-სხვა მწერთაგან, რომელნიც იმ დროს მათთვის უვნებელნი იყვნენ და არც ერთმანეთის სიტიტვლისა რცხვენოდათ. როცა კი ადამ და ევამ დაარღვიეს ღვთის მცნება, მათ იგრძნეს, რომ მათ სხეულს ვნებდა სიცივე და სიცხე, კბენდენ სხვა-და სხვა მწერები და კიდეც შერცხვათ თავიანთი სიტიტვლისა; მათ შეჰკერეს ფურცლებისაგან სამოსელი, რომლითაც დაიფარეს სხეული თვისი. ეს იყო პირველი სამოსელი კაცთათვის, უბრალო მათგანვე გამოგონებული თავიანთ სხეულის დასაფარავად. შემდეგ ამ სამოსლის ნაცვლად ღმერთმა მისცა მათ ტყავის სამოსელი, რომელიც უფრო მაგარი და უფრო მოხერხებული იყო. აქედან ცხადია, რომ ტანთ-საცმელი მოცემული გვაქვს ჩვენ არა პრანჭიაობისათვის, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი სხეული დავიფაროთ ბუნების ზოგ მოვლენათა მავნებელ ზედმოქმედებისაგან.

«და სამოსლისათვის რასა ზრუნავთ?» მაცხოვარი სრულებით გვიკრძალავს ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვას იმ მიზნით, რომ სხეული დავიმშვენოთ. სამოსლისათვის რატომ ზრუნავთ? ამბობს მაცხოვარი, შეხედეთ მინდვრის ყვავილებს, თუ როგორ იზრდებიან იგინი? არც შრომობენ და არც ართვენ. ხოლო გეტყვით თქვენ, რომ სოლომონი თავისი დიდების დროს არ იმოსებოდა ისე, როგორც ერთი ამ ყვავილთაგანი თუ კი თივას ველისას, რომელიც დღეს ხარობს, ხოლო ხვალ თორნესა შინა იქნების ჩაგდებულ, ღმერთი ესრე მოსავს, ნუ თუ თქვენ არა უმეტეს ხართ თივაზე, მცირედ მორწმუნენო? (მათ. 6, 27—30), ამ სიტყვებით მაცხოვარი ცხადათ გვიჩვენებს ჩვენ, თუ რა ცუდათ ვიქცევით, როცა მომეტებულად ვზრუნავთ მასზე, რომ უკეთესად ჩავიცვათ და დავიხუროთ, ამასთან ამ სიტყვებით უფალი გვიჩვენებს, რომ ღმერთმა ყოველ ქმნილებას მისცა თავის შესაფერი სიმშვენიერე, რომლითაც ყველანი უნდა კმაყოფილნი იყვნენ. და მართლაც ყველა ქმნილება კმაყოფილდება ღვთის მიერ მინიჭებული მშვენებით და ხელოვნურ სიმშვენიერეს საჭიროდ არა რაცხს, — «არ შრომობენ და არ ართვენ». მხოლოდ ჩვენ ღვთის გონიერნი ქმნილებანი — კაცნი არ ვკმარობთ ღვთის მიერ მონიჭებულ სიმშვენიერეს, თითქო ამ მხრით ნაკლებად ვიყვნეთ დასაჩუქრებული ღვთისგან. რა არის მიზეზი, რომ ასე მომეტებულად ვზრუნავთ სამოსლისათვის, რომ ჩვენ [illegible] მარტო მდიდრულ ჩაცმა-დახურვაზე ვხარჯავთ და არ ვეძებთ არც ხეირიან სადგომს და არც შესაფერ სმა-ჭამას? ნუ თუ ღმერთმა სხვა ქმნილებაზე ნაკლებ მოგვმადლა სიმშვენიერე? სრულებითაც არა! თვით საუცხოვო და ძვირფასი სამკაულები, რომელნიც იმდენადაც რომ შვენიერნი და დიდებულნი იყვნენ, რამდენათაც სამოსელნი სოლომონისა, მაინც არა რას ნიშნავენ იმ სიმშვენიერესთან, რომელიც მოცემული გვაქვს ღვთის მიერ. ხშირად მომეტებული გადაპრანჭული ჩაცმა-დახურვა სასაცილოდ გვხდის სხვის თვალში.

ხშირად ხედავ, რომ კაცი შემოსულა ძვირფასი ტანთ საცმელით და თავისი თავი დიდათ მოაქვს. რით ამპარტავნებ შენ, კაცო! შენ ძვირად გიყიდია შენი პალტოს ანუ ჩოხის საყელოზე მოსავლებლად ძვირფასი ტყავი წავისა, მელისა და სხვა ცხოველთა და ამ მკვდარი ცხოველების ტყავით ამპარტავნობ. ზოგს მკვდარ ფრინველის ფრთები ანუ რომელიმე ჩიტი, გაბერილი ჭინჭებითა და მატყლითა, გაუკეთებია ქუდზე და ამით უნდა გააკვირვოს მნახველი. თუ შენ ამ მკვდარი ფრინვლების ფრთებით და ოთხ ფეხი ცხოველების ტყავით ამპარტავნობ და თავს აწონებ სხვას, მაშ თვითონ ის ფრინველები და ცხოველები მაღლა დგანან შენზე გარეგანი მიმშვენიერით!.. ამას გარდა რამდენად საზიზღარი სანახავია ის ადამიანი, რომელიც თავის პირი სახეს იგლესავს სხვა-და-სხვა ფერადი საღებავებით, რომ ამით სხვას თავი მოაწონოს. ყველაფერზე მოსაწონია ქალისათვის კეთილი მორცხობის სიწითლე და მკრთალი ფერი, რომელიც შედეგია ქრისტიანული მარხვალოცვისა და ზომიერი კეთილი ცხოვრებისა. აი ამაებით უნდა ამკობდეს კაცი თავის სხეულს და არა სხვა-და-სხვა ფერადი საღებავით, რომელსაც მარტო კედლების შესაღებავად ხმარობენ.

„და სამოსლისათვის რასა ზრუნავთ?“ მეორეს მხრით მდიდრული ჩაცმა-დახურვით ჩვენს სულს ვაგდებთ ცოდვებში. როცა ჩვენ ვიმოსებით მდიდრული ტანთ-საცმელით და სამკაულებით, ჩვენი გული ივსება მედიდურობით; ჩვენ ზიზღით უცქერით მათ, რომელნიც ჩვენზე ღარიბულად არიან ჩაცმულნი, ვმედიდურობთ, გულ-ცივად ვეპყრობით ნაცნობებს, და არა მარტო ნაცნობებს, ნათესავებსაც კი; ღვთის ტაძარში ამპარტავნულად გვიჭერია თავი და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა, რომ ღარიბულად ჩაცმული ვინმე გვერდზე მოგვიდგეს. როცა ჩვენზე უკეთესად მორთულებს ვხედავთ, გული გვევსება შურით, ვძრახავთ მათ ასე მდიდრულ მორთულობისათვის და მასთან მის გან-ხილვაში და გამოკვლევაშიც კი შევდივართ, თუ რა საშუალებით მოიპოვეს მათ ეს მდიდრული ტანთ-საცმელი. ხშირად ტანთსაცმელისათვის მალულად ვინახავთ ფულებს და ვატყუებთ—და ვის იცით?—დედას, მამას, მეუღლეს. რამდენი უსიამოვნება ხდება ოჯახში, როცა პრანჭია გასათხოვარი ქალი დაჟინე-ბით თხოვს მშობლებს, რომ, არის თუ არა, მდიდ-რულად ჩააცვან მას. ასეთ ოჯახებში დიდ დღესას-წაულების დროს დიდი უსიამოვნება და ტირილი არის ხოლმე. ნუ თუ დასაფარავია, რომ ხშირად მდიდრული და მოდის შესაფერად ჩაცმა-დახურვის მოყვარული მეუღლე ღუპავს თავის ქმრის ოჯახს და საცხოვრებელს, დიდ ვალებში აგდებს ქმარს. ასეთი ცოლის პატრონნი უნებლიეთ ხდებიან მექრთამენი, ავიწროებენ ქვრივ-ობოლთ, უმართლოდ სტაცებენ სხვებს ქონებას და თუ საზოგადოების რამ ფული აბარიათ, მზათ არიან გაფლანგონ! აგ-რეთვე მდიდრული ჩაცმა-დახურვის სიყვარული ხში-რად ჰბადებს გარყვნილებას და ცოლ-ქმართ შუა კავშირის უმანკოდ დაცვას ლაქსა ცხებს. რაღა უნდა ვთქვათ იმ უქკუო და დამღუპველი ხარჯების გამო, რომელთაც ჩადიან დედ-მამანი, როცა თავიანთ ქა-ლებს ათხოვებენ? ვინ მოსთვლის, თუ რა უზომო ხარჯს ეწევიან ისინი ამ დროს! სწორეთ ამისი მი-ზეზია, რომ ზოგჯერ ქალის დაბადება სამწუხაროდ მიაჩნიათ დედებს, რომელთაც, მაცხოვრის სიტყვი-საებრ, უფრო შეშვენისთ, რომ ამ დროს იხარებდენ, «რამეთუ კაცი იშვა ქვეყანაზე“. როცა დედ-მამას ბევრი გასათხოვარი ქალები ჰყავს, ისინი უბედურად რაც-ხვენ თავიანთ თავს. ასეთი მშობლები, მართლაც, დიდ შრომაში არიან, ითმენენ სიღარიბეს, დამცირე-ბას და მწუხარებას. და ყოველივე ესეები წარმოს-დგებიან მდიდრული ჩაცმა-დახურვის სიყვარულო-ბისაგან. ეხლა ერთი ვიკითხოთ, თუ რა არის მორ-თულობა? მორთულობა არის მხატვრობა, დუქანზე გამოკიდებული (ВЫВѢСКА). მართლაც როცა შვენი-ერი და ძვირფასი ტანთ-საცმელით და სამკაულებით ვიმოსებით, რა აზრი იბადება ჩვენს გულში? ნუ თუ მდიდრული ჩაცმა-დახურვით არა გვსურს, რომ სხვების ყურადღება მივიქციოთ? ნუ თუ ხშირად ჩვენი ხელოვნური მორთულობით, ძვირფასი სამკაუ-ლით და სუნნნოვანი ფერ-უმარილით, როგორც ეშმაკის ბადით, არ გვინდა ხელთ ვიგდოთ ჩვენი მსხვერპლი? თუმცა დიდათ საზიზღარნი არიან ასეთი გულის-თქმანი, მაგრამ იგინი, უნდა გულ ახდილად გამოვტყდეთ, ხშირად ტაძარშიც კი არ გვასვენებენ.

ჩვენს დროში მორთულობისადმი მიმზიდველო-ბამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ ხშირად, საცოლოს გამორჩევის დროს, ყურადღებას აქცევენ არა ზნე-ობითი მხარეს საცოლოსას, არამედ მის ძვირფას ტანთ საცმელს და მდიდრულ სამკაულებს; ამის გა-მოც არის, რომ ცოლის თხოვას ნაცვლად სიხარუ-ლისა და ნუგეშისა თან მოაქვს მომეტებული ზრუნვა და მწუხარებანი. განა სირეგვნე არ არის, როცა ყურადღებას ვაქცევთ ქარხნებში და მაღაზიებში ნაყიდ ნივთებს და სრულებით არ ვეძებთ შევიტყოთ საცოლოს გონება და გული? რა დედა იქნება ის ქალი, რომელსაც აქვს ბოროტი გონება და გული? აი რას ამბობს ისო ძე ზირაქისა: «უმჯობეს არს ცხოვრება ლომთა თანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვ-რება დედა-კაცისა ბოროტისათანა. სიბოროტე დე-და-კაცისა შესცვლის სახესა მისსა და დაიბნელებს პირთა თვისთა, ვით.არცა ძაძა. შორის მოყვასთა თვისთა დაწვეს ქმარი მისი და ესმა სულთ ითქვნა მწარედ. მცირე არს ყოველი სიბოროტე წინაალმდეგ სიბოროტესა დედა-კაცისასა» (25 18—21). რა ქალია ის, რომელიც გაუგონარი და ანჩხლია? აი ამაზე რას ამბობს სოლომონ ბრძენი: „უმჯობეს არს ცხოვოება ქვეყანასა შინა უდაბნოსა, ვიდრელა ცხოვრება დედა-კაცისა თანა გულმაღალისა, ენოვა-ნისა და მრისხანისა» (იგავთა 21, 19). «უმჯობეს არს ყოფა ყურესა შინა სართულისასა, ვიდრელა სახლსა შინა საერთოს დედა-კაცისასა თანა მაგონე-ბელისა (იგავთა 25, 26). ნუ თუ ძვირფას ტანთ-საცმელს და ძვირფას ქვებს შეუძლიათ ასეთი ქალების დამშვიდება? განა ამ უსულო ნივთებს შეუძლია ასეთი ქალების მოლბილება და მოსიყვარულე დე-დათ გარდაქმნა? აი ამაზე რას ამბობს ბრძენი სო-ლომონი იგავთა შინა: „ვითარცა საყურენი ოქრო-სანი ცხვირსა ღორისასა, ეგრეთვე დედა-კაცი ბო-როტ გონების შვენიერებასა» (11, 22). ამიტომაც არის, რომ მრავალნი ნანობენ ცოლ-შვილის მოკი-დებას: ბრძენი სოლომონი იგავთა შინა აი რას ამბობს ამის შესახებ: „ვითარცა მღილი ძილისა,

ეგრეთ წარწყმედს ქმარსა დედა-კაცი ბოროტის მოქმედი [12, 4]. წინააღმდეგ ამისა, კეთილის მოქმედი ცოლი არის წყარო ოჯახის ბედნიერებისა. კეთილის მოქმედი ცოლი, სიტყვისაებრ ღვთისა, ახარებს ქმარსა თვისსა"; ასეთი ცოლის ქმარს, მდიდარი იქნება იგი თუ ღარიბი, გული კმაყოფილი აქვს და ყოველ დროს პირი სახე უღიმის. ასეთი ცოლი არის მადლი ღვთისა (ისო ძე ზირაქისა (26, 2, 4, 17). „პირი თვისი აღაღო კრძალულებად და სჯულიერად და წესი მცნებისა ენასა თვისსა, ასეთი ქალი ყურსადევნებს ოჯახს და ოჯახი მისი შემოსილ არს და ხელსა თვისსა აწვდენს გაჭირვებულთა" (იგავთა თავ. 31]. «რომელმან პოვოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ" (იგავთა 18, 22) «დედა-კაცი მხნე ვინ პოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისათა (იგავთა 31, 10), სთქვა ბრძენმა მეფე სოლომონმან».

ძმანნო ქრისტიანენნო! გვახსოვდეს, რომ კაცის სიშვენიერეს გარეგანი სილამაზე არ შეადგენს, არამედ ამ სიშვენიერეს წარმოადგენს ზნეობითი სიშვენიერე გონებისა, გულისა და ჩვენი ნებისა, ეს სიშვენიერე არ იცვლება და არც ქრება. თუ ეს ზნეობითი სიშვენიერე გვაკლია, მაშინ არავითარ მდიდრულ ტანთ-საცმელს და ძვირფას მორთულობას, რომელზედაც ჩვენს დროში ასე ბევრს ცდილობენ, არ შეუძლია ჩვენი გალამაზება. ამასთან ერთად მივაქციოთ ჩვენი ყურადღება ნივთიერად და ზნეობითად გამაუზედურებელ ჩაცმა-დახურვას და ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ამ ბოროტებას სრულიად თუ ვერ მოვსპობთ, ცოტა მაინც შევასუსტოთ იგი. ცხადია, რომ ყველანი ვცდილობთ ძვირფასად შევიმოსოთ, მასთან ცხადათ ვხედავთ, რომ ეს ძვირფასად ჩაცმა-დახურვა რა დიდ ვალებში გვაგდებს, მაგრამ როგორც მდიდრები, ისე ღარიბები უფრო მომეტებულად ვზრუნავთ, რომ რაც შეიძლება უკეთესად შევიმოსოთ და ამას ვანდომებთ ძვირფას დროს, ჩვენს ძალას, ტანისიმრთელეს და სულის უკეთეს გრძნობათა! უკეთესია, რომ ჩვენი შვილები შეიმოსნენ კეთილ გონიერებით და კეთილ ზნეობით, ვინემ ძვირფასი ტანთ-საცმელით. ნაცვლად მოდის ჟურნალების გამოწერისა, ვეცადოთ მოიპოვოთ სასულიერო შინაარსის წიგნები, რომელნიც აზრ-დოებენ გონებას და აკეთილშობილებენ ჩვენს. ასეთი წიგნები მოგვანიჭებენ ჩვენ და ჩვენს ოჯახს ჭეშმარიტ, დაუჭკნობელ სიმშვენიერეს, რომელიც სრულიად შეავსებს ჩვენი სხეულის ნაკლულევანებათა.

# ოჯახის კერა

## მამა კაცი და დედაკაცი.

(რუსულიდამ)

III.

გაგრძელება *).

### ჭაბუკი ეკკლესიაში.

მე გულ ახდილად ვიტყვი, რომ ყველა ახალგაზდას ეკკლესიური მოვალეობანი განისაზღვრებიან იმ საქმეებით, რომლებსაც უნდა ასრულებდეს კვირა დღეს. უკეთუ მას სურს ისეთი საქველ-მოქმედო საქმე გააკეთოს, რომელიც გამოსადეგია, როგორც ქვეყნიური ისე მომავალ ცხოვრებაშიაც, უთუოდ უნდა ინახვიდეს კვირას, როგორც სამღვთოსა და ღვთის-მსახურების დღეს. ამ დღეს უნდა სთვლიდეს ისეთ მოქმედებათა წყაროდ, რომლებიც გაგვწმედენ ბიწიერებისაგან. დიდი მარგებელი იქნება მისი სულისათვის, უკეთუ კანონად დაიდებს და კვირა დღეს სხვა დღეებისაგან განასხვავებს, და როგორც ჭეშმარიტი ქრისტეანე, სხვასაც უქადაგებს კვირა დღეს ღვთის-მსახურების მოსმენას. ყველას მტკიცედ უნდა ახსოვდეს ის, რასაც ასწავლიდენ და აგონებდენ წმ. საიდუმლოს მიღების წინედ, და ზურგს არ უნდა აქცევდეს ღვთის ტრაპეზსა. ყოველი მოქმედება, რომელიც თავდა პირველად თავდადებასა და დიდ ჯაფას თხოულობს, მალე შეიქნება სიხარულის წყაროდ, და ცისკრისა და მწუხრის ლოცვებთან შეერთებული გულისა და სულის სიღრმეში აგებულ

*) იხილე „მწყემსი" № 11, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაპეზის წინ, აამაღლებს და განსწმედს სულს. ამ გვარი გეგმა მოქმედებისა უეჭველად დააყენებს სიბრძნის გზაზედ, რომელზედაც სვლა საამური და მშვიდობიანია. მაგრამ თუ ახალგაზდა ქრისტიანობრივ მოვალეობის მხილების ხმას პირველშივე დაასუსტებს, და შემდეგ მთლად შეაშთობს უბადრუკებით, როგორც ხშირად ვხედავთ ხოლმე, თუ ის ფუფუნების მოყვარეობათა გამო სიზარმაცეს მისცემს თავს, ოსტატობას დაადგება და იტყვის მთელი კვირის შრომის შემდეგ უფლება მაქვს კვირა დღე ჩემთვის მოვიხმაროვო, მაშინ ის დაღუპვისაკენ სდგამს ფეხს. თუ ქადაგება სხეულის მომქანცველად ეჩვენება, ღვთის-მსახურება მოწყენილობას ჰგვრის, მაშინ იგი შორდება ღვთაებასა და სულს ჰღუპავს. თუ ერთხელ გააუპატიურა ახალ-გაზდამ ღვთის მადლი, შემდეგ ვერასოდეს ველარ მიიღებს მას. მე ხშირად მინახავს ამის მაგალითი. ერთი ახალ-გაზდა ხშირად იტყოდა თურმე: მე მირჩევნია ქვების ქადაგების მოსმენა, ვინემ ყური უგდო, თუ როგორ საუბრობენ თაროებიო. ის თურმე კვირა დღეებზე ჩრდილში იწვა და რაღაც უმნიშვნელო, უშინაარსო წიგნაკებსა და გაზეთებს კითხულობდა. ვინც სარწმუნოებრივი მოვალეობის ასრულებას თავს ანებებს, ის ყოველთვის დაუდგრომელი და უნდოა ზნეობრივი მოთხოვნილების დროს. თუ ყმაწვილი ამაოდ სცდილობს ჩააქროს სინიდისის ხმა, კვირა დღეებში განცხრომას ეტანება, ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ის ეშმაკის მონაა და მისი სურვილების ამსრულებელი. როდესაც გარყვნილნი და ურწმუნო ამხანაგები დასცინიან ახალგაზდას, შენ მარად ჟამ ზეციურ საგნებზედ ფიქრობ, ხოლო ჩვენი გულითადი მეგობარი ის არის, ვინც ცოტას ფიქრობს სულზე, და ნაკლებად ეტანება ლოცვებსაო, მან ასე უნდა უპასუხოს მათ: „თქვენ ხართ ცოდვის წარმომადგენლები, ხმაზედ გიცნობთ თქვენ—თქვენ ხართ სიბილწე და უბადრუკებაო“.

მე არ ვარ უკიდურესი მიმდევარი გარეგნობისა, და არც მკაცრი „პურიტანი“ შესახებ კვირა დღეებისა, უფრო მეტად იმ აზრისა ვარ, რომ ეს დღე უნდა იყვეს და ითვლებოდეს არა მარტო სამღვთოდ, არამედ მხიარულებისა და სიამოვნების დღედაც. მე მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ მიჩვენეთ ორი ისეთი ახალ გაზდა, რომელთაგან ერთი მარად ჟამ ეკკლესიაში დადიოდეს, წმიდა გულით ლოცულობდეს და ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო მეორე კი მთელ დღეს უშინაარსო გაზეთებს კითხულობდეს, ან ველოსიპედით დასეირნობდეს, გზა და გზა სამიკიტნოებში ქეიფობდეს, უაზრო მუსაიფით ატარებდეს დროს, და მაშინ ნათლათ დაგანახვებთ, თუ რომელი მათგანია ღმერთთან და ცხოვრებასთან დაახლოვებული, მშვიდი, წყნარი და მტკიცე ზნეობისა.

2. ჩემის შეხედულებით, თითოეულმა ახალ გაზდამ, რომელსაც სურს შიშითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით თაყვანი სცეს ღმერთს, წრფელი სიყვარულით ადიდოს მაცხოვარი, უთუოდ უნდა აირჩიოს ერთი რომელიმე ეკკლესია და მხურვალე მონაწილეობა მიიღოს მის ღვაწლში. რასაკვირველია, უმჯობესია, თუ ეს მისი სამრევლო ეკკლესია იქნება. მაგრამ თუ რომელიმე მიზეზით ვერ ურიგდება იქაურ მქადაგებელს, რომელიც იქნება ისეთ მწყემსს მოგვაგონებს, რომელიც არავითარ საზრდოს არ აწოდებს თავის ცხოვარს, მაშინ აირჩიოს სხვა ეკკლესია, მაგრამ ხშირად კი არ უნდა იცვლიდეს ასე. მეტი ურიგობა და შეუფერებელია მკაცრად გაკიცხვა მქადაგებლისა. მეც იმ აზრისა ვარ, რომ უკანასკნელი მათგანიც კი იტყვის რაიმე გამოსადეგს, თუ არა და მაცხოვარი გვიბრძანებს, რაც უნდა იყვეს, მაინც მოვისმინოთ ბოლომდე.

მღ. დ. ჩხა-ძე

# სამეცნიერო ცნობა.

## კუდიანი ვარსკვლავები

რასა ჰქვიან კუდიანი ვარსკვლავები.—რას წარმოადგენს და რისგან შესდგებიან ეს მნათობები.—რამოდენები არიან კუდიანი ვარსკვლავები.—ცრუ-მორწმუნებანი. კუდიანი ვარსკვლავების დაჯახება.

დრო გამოშვებით გამოჩნდებიან ხოლმე ცაზედ ერთ გვარი მნათობები, რომელთ არა ჩვეულებრივათ სიბრწყინვალე ყველას ყურადღებას იქცევს. ხალხს უკვირთ ეს მნათობები და ერთმანეთთან შეხვედრისათანავე ეკითხებიან: „ჰნახეთ თქვენ ახლად გამოჩენილი კუდიანი ვარსკვლავიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა მეტად საინტერესოა და საკვირველი. წარმოიდგინეთ ვარსკვლავებით მშვენივრად მოჭედილს ცაზედ გრძელი ცეცხლსავით მოელვარე კუდი გაჭიმული. ერთს გვერდზედ ნათელი უფრო ბრწყინავს და ლაპლაპებს —ეს თავია კუდიანი ვარსკვლავისა. თავის ქვემოდ ნათელი თან-და-თან კლებულობს და მარაოსავით იშლება, — ეს არის კუდი ვარსკვლავისა.

ამ ნაირები არიან ის მნათობები, რომლებსაც ხალხი კუდიან ვარსკვლავებს ეძახის. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველანი ერთმანეთს არა ჰგვანან და ხშირად ერთი და იგივე ვარსკვლავიც სხვა-და-სხვა ნაირად იცვლის ფერსა და სახეს. პირველად კუდიანი ვარსკვლავი პატარა გამოჩდება, უბრალო თვალით ძლივსა სჩანს და უკუდოა. მაგრამ შემდეგში თან-და-თან იზრდება და უფრო ბრწყინვალე ხდება, კუდი უგრძელდება და საშინლად დიდი ხდება. დღითი-დღე უფრო მატულობს მისი სინათლე და ყველას შეუძლიან თავისუფლად უცქიროს მას და დასტკბეს მისი ცქერით. ამავე დროს თან მოძრაობს და ყოველ საღამოს აშკარად ამჩნევთ ამ მოძრაობას. მაგრამ გადის რამდენიმე ხანი, კუდიან ვარსკვლავს სინათლე ელევა, პატარავდება, კუდი ეკარგება და ბოლოს სულაც ჰქრება ცის განუსაზღვრელს უფსკრულში.

კუდიანი ვარსკვლავები, როგორცა ვსთქვით, ერთმანეთს არა ჰგვანან. ზოგიერთს მათგანს უშველებელი სიგრძის კუდები აქვთ, ზოგს კი მოკლე და მქრალი. ხანდისხან ერთსა და იგივე ვარსკვლავს რამდენიმე კუდი აქვს, რომელნიც მარაოსავით აქეთ-იქით არიან გასულნი; მრავალთ კი სრულიადაც არა აქვთ კუდები და პატარა ბრწყინვალე ღრუბლებსავით დაცურავენ ცაზედ. ყველაზედ უფრო შესანიშნავი და დიდი კუდიანი ვარსკვლავები იყვნენ 1858, 1861 და 1862 წელს გამოჩენილი; შეიძლება, თქვენ თითონაც გენახოთ ის კუდიანი ვარსკვლავები და თქვენის ბედნიერის თვალით დამტკბარიყვეთ.

რისგან შესდგებიან ეს კუდიანი ვარსკვლავები? ეს ცაში მოძრავი მნათობი—ჰაერგვარია. მხოლოდ უფრო იმაზე სუმბუქი, რომელსაც ჩვენა ვსუნთქავთ. წარმოიდგინეთ, რომ ძალზედ მსუბუქი, გასამჭვრეტი ღრუბელი დაცურავს ცის სივრცეში, სწორედ იმ გვარად როგორც დედამიწის სიახლოვეს დასცურავენ ჰაერში ღრუბლები. რასაკვირველია, ცაში რომ ჰაერი იყვეს, ისინი ვეღარ იმოძრავებენ, მაგრამ საქმეც იმაში მდგომარეობს, რომ ცა სრულიად ცარიელია ჰაერისაგან. ეს ცის ჰაერგვარნი იმდენად მსუბუქები არიან, რომ საკმარისია ერთი მცირე შებერვა მათს გასაფანტად. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ზოგიერთი კუდიანი ვარსკვლავი საკვირვლად დიდია. ის მშვენიერი ვარსკვლავი, რომელიც 1811 წელს გამოჩნდა 6,500 ვერსის სიგრძე იყო და ბოლოს იმოდენა გახდა, 170 მილიონ სიგრძეს აღარა უკლდა რა.

ამავე დროს კუდიანი ვარსკვლავი ერთსა და იგივე გზას კი არ ადგია, არამედ უგზო-უკვლოდ დახეტიალობს, ხან მოუახლოვდება მზეს, ხან კი დაშორდება. ზოგიერთი კუდიანი ვარსკვლავი ღრმათ წავა ხოლმე ცის სივრცეში და რამდენიმე ხნის შემდეგ იქვე ბრუნდება, ან არა და სრულიად ჰქრება. 1811 წელს გამოჩენილი მშვენიერი ვარსკვლავი 3,000 წლის შემდეგ დაბრუნდება ისევ. სხვა კუდიანი ვარსკვლავები კი, რომელთაც უფრო ახლოს გაუარეს ჩვენს დედამიწას თავის დღეში აღარ დაბრუნდებიან, ჩვენ მათ საუკუნოდ უნდა გამოვესალმოთ.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ კუდიანი ვარსკვლავის დანახვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან, როცა ის მზის ახლოს გაივლის. მაშინ იგი სიცხისაგან გაგანივრდება, გადიდდება, გაცხელდება და ბრწყინვას დაიწყებს. როგორც პატარა ღრუბელი ცაში ალის ფრად მოკაშკაშე.

ვარსკვლავთ-მრიცხველები ყოველ წლივ ორსამ ახალ პატარა კუდიან ვარსკვლავს აღმოაჩენენ ხოლმე, დიდრონი კუდიანი ვარსკვლავები კი ძალიან იშვიათად ჩნდებიან.

კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენა ერთს დროს შიშსა ჰგვრიდა ხალხს. ეს გარემოება იმის გამო ჰხდება, რომ ვარსკვლავები საიდგანღაც უეცრივ სჩნდებოდნენ, საშინელის სისწრაფით დიდდებოდნენ და ბოლოს ისევ საჩქაროდ ჰქრებოდნენ. კუდიანი ვარსკვლავები, რომელნიც ჩვენ ისე მშვენიერებად გვეჩვენებიან—საზარლად და საშიშრად მიაჩნდათ ძველად. ამბობდნენ, რომ კუდიანი ვარსკვლავები მომასწავებლები არიან დიდი უბედურებისაო, ომიანობისა, სიმშილისა, შავი ჭირისა... „ამბობდნენ ძველად, ამა და ამ წელს ცაში გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი, და თან მოჰყვა საშინელი სისხლის მღვრელი ომები, ჭირნახულის მოუსავლობა. სიმში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და სხ ». მაგრამ ეს არაფერსაც არანიშნავს! წელიწადი არ გავა, რომ კაცობრიობას რამე უბედურება არ ეწვიოს, ხშირად მისსავე მიზეზით! ხალხი რომ უფრო გონივრულადა სცხოვრობდნენ და ერთმანეთში განწყობილნი და თანახმანი იყვნენ, იმის მაგიერ, რომ ერთმანეთი სწყვიტონ და ძლიტონ, მაშინ კუდიანი ვარსკვლავებიც კარგი მახარობლები იქნებოდნენ. ჯერ ეხლაც კიდევ ბევრნი არიან უბრალო ხალხში, რომელთაც სწამთ ყველა ეს ცრუ შეხედულებანი!

ზოგნი კიდევ იმას ამბობენ, ნუ თუ არ შეიძლება ეს ცაში მოცურავი მნათობები დედა·მიწას დაეჯახნონ და დაამსხვრიონ, ან სხვა რამე ვნება მოუტანონ... განა შეუძლებელია რომელიმე კუდიანი ვარსკვლავი დაეჯახოს დედამიწას? რა მოხდება მაშინ? შეიძლება რამე უბედურობა მოხდეს? გავიხსენოთ, თუ რა განუსაზღვრელად დიდია ცა და რა თავისუფლად შეუძლიანთ ყოველგვარ მნათობებს მასში სრიალი, ისე რომ ერთმანეთს თავის დღეში არ შეჰხვდნენ. მაგრამ, ვსთქვათ, კიდევაც შეჰხვდნენ, მერე რა უბედურება მოჰყვება? ეს ადვილი გასაგებია. ჩვენ ზევით უკვე ვსთქვით, რომ კუდიანი ვარსკვლავები ჰაერგვარს წარმოადგენენ; ამიტომ მიწასთან დაჯახების დროს მხოლოდ მძლავრად შეარყევს ჰაერს ისე, როგორც დიდი ქარი დაჰქროლებს ხოლმე დედა-მიწას, ან კიდევ თვით ჰაერს შეუერთებოდნენ და მის დაჯახებას ჩვენ ვერც კი გავიგებთ.

ერთი ამ გვარი დაჯახება კიდევაც მოჰხდა, მიწასთან კი არა, სხვა პლანეტასთან, რომელიც სჩანდა, ტელესკოპში თუ ჩაიხედავდა კაცი. თუმცა კი უნდა ვსთქვათ, რომ კუდიანი ვარსკვლავი კი არ ეჯახა პლანეტას, არამედ გვერდზე გაეხახუნა!.. ეს იყო მშვენიერი დიდი კუდიანი ვარსკვლავი, რომელმაც ახლოს გაუარა დედამიწას და შემდეგ დაუპირდაპირდა იუპიტერს. მერე რა მოხდა? ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ასეთს დიდს პლანეტას ვერაფერს ზარალს მოუტანდა, მაგრამ ვარსკვლავთ-მრიცველთ მაინც ეშინოდათ მის თანამგზავრებისა. მაგრამ სასიკეთოდ სრულიად არაფერი ვნება არ მოჰყოლია ამ დაჯახებას. კუდიანმა ვარსკვლავმა სრულიად თავისუფლად გაიარა იუპიტერსა და მის თანამგზავრთა შორის. პირიქით თვით კუდიან ვარსკვლავს უნდა ეცვალა თავისი გზა, როგორც მსუბუქს ჰაერგვარს. იუპიტერმა იმდენად მიიზიდა იგი, რომ მთლად აურია თავგზა და ისე გაჰფანტა ცის სივრცეში, რომ თავის დღეში ველარ დაბრუნდება იგი. აი კიდევ სხვაც. 1872 წელს ერთი კუდიანი ვარსკვლავი ისე მიუახლოვდა დედამიწას, რომ მისი კუდი ჩვენს ჰაერს ეხახუნებოდა. მერე რა გამოვიდა? არაფერი, მხოლოდ შეწყვეტილი ვარსკვლავები წვიმასავით წამოვიდა დედა-მიწაზე. ნურას დროს ნუ შეგვეშინდება კუდიანი ვარსკალავებისა—ესენი სრულიად უვნებელი მნათობები არიან, მათ არაფერი ვნებისა და ზარალის მოტანა არ შეუძლიანთ. («ცნობ. ფურ».)

# ძვირფასი ხატები.

ბერძნული ამბავიდამ.

## სვინიდისის მხილება.

გაგრძელება *

—დიდება შენთვის ღმერთო,—ამბობდა გულში მეფოდი,—მე კეთილი საქმე ვქენი, მეგონა—ხატები ვაჩუქე, და, თურმე ქვეყანა დამიქცევია. ნეტავ ან არ მიმეცა საწყალი პერეკლისთვის ის ხატები და, ან თუ მივეცი—მიმეყიდა. აბა რა სისულელე იყო, რომ ფიცი და პატიოსანი სიტყვა გამოვართვი. ოხ, რა, სიბრიყვე და რა საცოდავება ჩავიდინე. ოხ, ნეტავ იმ დროსაც ასე გამოცდილი ვყოფილიყავი, როგორც ეხლა ვარ, მაშინ ხომ ამდენი სული აღარ დაიღუპებოდა. მაგრამ... ოხ, რა ფინთია ეგოისტობა —სახელის ძებნა და მედიდურობა, თუ კაცმა არ იცის, როგორ უნდა გაიკვლიოს ეს საშიში გზა. მე მაშინ უეჭველად მინდოდა, რომ ჩემი სახელი კიდევ უფრო გამედიდებია, მეგონა, პერეკლე ჩემი სახელით აუარებელს ფულებს დაარიგებდა და ამით ხომ, მე უკვდავი გავხდებოდი. ჰოი, მაცხოვარო!.. სად იყო მაშინ შენი უკვდავი სიტყვები: «ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენა შენი, რასა იქმოდეს მარჯვენა შენი»—«რათა იყოს ქველის საქმე შენი ფარულად, და მამამან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ სიტყვა მომეცი, უეჭველად დამიფიცე-თქო. თვითონ

* იხ. „მწყემსი“ წ. 1898, № 10,

ეროვნული

ცხადად».მე ცოდვილს, მაშინ ეს სიტყვები სისულელე მეგონა და აი რა ნაყოფი გამოიღო ჩემმა ბრიყვულმა თავ მოყვარეობამ. ღმერთო ჩემო, ეხლა რაღა ვქნა, როგორღა შევინანიო ეს საშინელი ცოდვები?!. ასე ფიქრებში გართული მივიდა მეფოდი სახლში. არავისთვის ხმა არა გაუცია, უჭმელ-უსმელი შევიდა თავის საწოლ ოთახში და დაიძინა: ხედავს სიზმარს: მოვიდა მასთან პერეკლი და ეუბნება: გთხოვ, მაპატიო — პირობა ვერ ავისრულეო, მეფოდი ეუბნება — მიპატიებია, მიპატიებია და შენც მაპატიე, რომ ასეთი უბედურება შეგამთხვიე, დაგღუპეო. — ვერა, მე ვერ გაპატიებ, მე აღარა მაქვს დრო პატიებისა — ენა აღარ მემორჩილება. მე მოვისპე, ჩემი სანთელი გაქრა და სუყველას მიზეზი კი შენ ხარ - შენ მაპატიე შენ — სიტყვის, ფიცის გატეხა... აგერ კიდევ ხედავს პერეკლის ცოლს, ხედავს მისს ქალიშვილსაც, საწყალ ობლებსაც. სწუხს მეფოდი, წვალობს. უნდა წავიდეს აქედან, გადიკარგოს სამე — გაიქცეს, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებიან... ამ ტანჯვა-წვალებაში — გამოეღვიძება. კანკალობს, შფოთავს, ეშინია, რაღაც უხილავი ძალისა. ნაზავს სულს, სრულებით არ ინძრევა, უნდა დავიწყებას მისცეს თავი. ამბობს „მე სრულებით დანაშაული არ მაქვს. რატომ მან არ აღასრულა პირობა, რატომ გასტეხა ფიცი, მე რა?.. — მე ხომ არ მითქვამს მისთვის, რომ უეჭველად დამთანხმდა, თვითონ დაიფიცა. მაგრამ ვაჰ!.. ღმერთო. ეს?.. — ეს რაღა არის?.. ეს რაღა მიჩურჩულებს... სუუ... — მოდი ყური დაუგდო, რას ამბობს!.. — შენ... შენ..! — შენ უნდა შეინანო, შენ უნდა გამოისყიდო ყველა ეს ცოდვები. — შენ... შენ. შენღა დარჩი ცოცხალი. ეხლა რიგი შენზედ მოდგა. — ამხელს ვიღაც.

მოხუც მეფოდიზედ, როგორც გულ-კეთილ კაცზედ საშინლად იმოქმედეს ელენეს ნაამბობმა. პატიოსანს და მისს მისუსტებულს სულს ეხლა თვით თავისი სუსტი, დაღალული ძალა აღარ შესწევდა, მორეოდა ამ თავისავე ოცნებებს. იმას არავინ ელაპარაკებოდა, მის ოთახში არავინ იყო, რასაც ისმენდა. რასაც გრძნობდა ეს სულ „სვინიდისის მხილება“ იყო. ის იყო ბურანში. მისი ბუნებითი კეთილი, სწავლით ღვთიური და ჭკუით გამოცდილი გრძნობები ამხილებდენ და რაც მან გაიგონა ელენეს პირიდან, რაც იფიქრა სიფხიზლეში, იგივე ესიზმრა, იგივე ელანძება, იგივე სტანჯავდა.

მეფოდი გამოაფხიზლა კარების რჭკუნმა, უკვე გათენებულიყო, ბიჭი აღვიძებდა მას. მეფოდი წამოდგა გაკვირვებული. ის ჯერ არას ოდეს ასე გვიან არ ამდგარიყო.

## IX.

### „თავ-გოროხა“

ახალი წელი კარზედ იდგა, ყველა მზადებაში იყო. ჩვენი ობლები-კი სრულიად უსახსროდ, უიმედოდ იჯდენ თავიანთ მოხუცი ბიძის ოთახში და ბუხარზედ თბებოდენ, ათინაში საბერძნეთის სატახტო ქალაქში დიდი ზამთარი არ იცის, მხოლოდ ხან-კი არა ჩვეულებრივად აცივდება ხოლმე. ობლების პაწაწინა ოთხ-თალიან სახლში, მარტო ერთს ოთახს ჰქონდა ბუხარი, რადგან შეძლება არ ჰქონდათ სხვა ოთახებიც გაეთბოთ.

მოხუცი ბიძა ნელ-ნელა აფუილებდა მის საყვარელ ყალიონს და თავის თავგადასავალს ელაპარაკებოდა ბავშებს. ყველანი აქ იყვნენ, მარტო ალეკო არსად ჩნდა.

— საწყალი ჩვენი ალეკო, — თქვა ტრიანდაფილამ, — ვინ იცის, ეხლა სად რას ჩადის, რომ ამ საკაიდღეოდ სახარჯო გვიშოვნოს. — ღმერთმა უშველოს, — დაუმატა ელენემ.

ალეკო-კი ამ დროს ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, როგორმე თავისი უკანასკნელი — მამიდან დანარჩენი მამული გაეყიდა, ან დაეგირავებია, რომ ობლები კარგს დღეებზედ გულ-ნაკლებად არ დაეტოვებია.

არა ერთხელ გამოუხსნია ალეკოს იგინი გაჭირვებისაგან და ეხლაც ასე უნდა ექნა. მისი ერთად ერთი კმაყოფილება იყო სხვისი დახმარება — მოყვასის შემწეობის აღმოჩენა.

რამდენიც ეცადა, რამდენიც იწვალა, სულ უბრალოთ გამოდგა, ალეკომ ვერა მოახერხა რა ამ გზით.

ეხლა მას დარჩა ერთად-ერთი საშუალება — თავი გაეყიდა, ესე იგი დასთანხმებოდა მეცირკეს და წაჰყოლოდა მას ევროპაში. მეცირკე თხოულობდა მისგნით ძალიან მძიმე პირობებს: სამი წელი მოუშორებლად მასთან უნდა ყოფილიყო, თუ საჭიროება მოითხოვდა — იმას დასმიდენ, როგორც საუცხოვო თავის მექონეს ზალაში ხალხის საჩვენებლად და უნდა დასთანხმებულიყო. თუ პატრონი უბრძანებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაც არ უნდა ამოეღო. ყველა ამ დამცირება-დამდაბლებაში მას აძლევდენ წელიწადში სამას ფრანკს (ას მანეთს).

—ოხ...—არ შემიძლია...—საშინელებაა ეს,—ამბობდა ალექო,—მე ამას ვერ ვიქ...—ქვეყანა თავისუფლებისთვის წვალობს. საბერძნეთმა ოთხასი წელი იბრძოლა თავის დახსნისთვის—თავისუფლების მოსახვეჭად და მე თავისუფალი ჩემი თავი როგორ უნდა გავყიდო. არა...—ეს არ შემიძლია,—თქვა მან და გასწია სახლისკენ.

ჯერ კიდევ შუა გზაც არ გაევლო, რომ ის ისევ ჩავარდა საგონებელში, მას წარმოუდგა თვალწინ მთელი თავის ცხოვრების სურათი, რომლის მეტი ნაწილი მას გაეტარებია ობლებში. გაახსენდა ისიც, როგორ დახვდებოდენ ხოლმე მას, როგორ მიეხვევოდენ, რა მადლობის გრძნობით სავსე თვალებით შეხედვიდენ, როცა ის მივიდოდა მათთან სხვა-და სხვა სადღესასწაულო ფეშკაშებით.

—ეხლა?.. დაეკითხა თავის თავს ალექო,—მე ასე ხელ ცარიელი იქ ვერ მივალო და იქვე ერთ ქუჩის სკამზედ ჩამოჯდა. ბევრი არ უფიქრნია—გადასწყვიტა—წასულიყო და მიეყიდა თავი მეცირკესთვის. მიდის და ფიქრობს ალექო—რა უსუსური, რა გლახა ვყოფილვარ,—რა იქნება სიყვარულს და კაცობრიობას სამი წელი შევსწირო, ვითომ ამდენი ხნის ჩემი სიცოცხლე იგივე წვალება, იგივე მონობა არ იყო?... თვით იესო ქრისტემ კაცობრიობის საკეთილ-დღეოდ სიკვდილით—ჯვარ-ცმით შესწირა თავი, თვით მაცხოვარმა თუ კი ასეთი მაგალითი გვაჩვენა—მე რაღა ვარ, ნუ თუ მეც ღვთის გაჩენილი არ ვარ?.. რა იქნება სამი წლით.

—მართალი ხარ!.. მართალი!.. გაუმეორა თავის თავს ალექომ და გასწია.

გაჩქარებული მიდიოდა ალექო, ის ეხლა აღარას ფიქრობდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა—მისულიყო მეცირკესთან, მოეწერა პირობაზედ ხელი და აეღო ერთი მესამედი წლის ჯამაგირისა ორი ფრანკი.—ოხ როგორ გავახარებ ობლებს, როგორ კარგად გაითენებენ ახალ წელ...—სიტყვა არც კი დაუსრულებია, რომ ვიღაცამ უკანიდან მხარზედ ხელი დაჰკრა,—ეს იყო მოხუცი მეფოდი.

სად მიეჩქარები, შვილო, ასე გაცხარებული, რა ამბავია?.. ჰკითხა ლმობიერად მეფოდიმ.

—არსად, ბატონო, აგერ მეცირკესთან მივდივარ, მინდა მოჯამაგირეთ დაუდგე,—მიუგო ალექომ.

—შე კაი კაცო, რა დროს მოჯამაგირედ დადგომაა, ხვალ ზეგ დღესასწაულები იწყება...

—დღესასწაულები?.. გაიმეორა ალექომ... რაი მერე, თუ კი ვერ გაითენებენ რიგიანად... მინდა პირობაზედ ხელი მოვაწერო და სახარჯო გამოვართვაო,—ამ სიტყვების თქმა დ̃ გზის გადგომა ერთი იყო.

მეფოდიმ რამოდენიმეჯერ დაუძახა—მობრუნდიო—მხოლოდ ალექოს ვითომ არც კი გაუგონია.

—ვითომ რა უნდა, რომ მიძახის, ფიქრობდა ის,—სწორეთ ფული-მოწყალება უნდა მომცეს, და სამოწყალო რა მაქვს. მაგი თუ კაი კაცი იყოს, ასე საქვეყნოდ ხომ არ გასცემდა მოწყალებას. ის განა არ იცნობს იმ საწყალ ობლებს?!.

მივიდა ალექო მეცირკესთან. მის ბედზედ, თუ უბედობაზედ მეცირკე სახლში დახვდა.

—ააა... ალექოს გაუმარჯოს, რა ჰქენით, თანახმა ხართ პირობაზედ?..

—კი თანახმა ვარ, მოიტა, ხელი მოგიწერო,—მიუგო ალექომ.

მოაწერა ალექომ პირობაზედ ხელი, აიღო ასი ფრანკი და გასწია გახარებულ, ობლებისკენ.

ჯერ კიდევ კარებიდან არც კი გასულიყო, რომ მეცირკემ უთხრა „თავდებს არ გთხოვ, რადგან მწამს თქვენი პატიოსანი სიტყვაო.

—თუ ცოცხალი ვარ, ჩემი სიტყვა სიტყვაა—მიუგო ალექომ.

მივიდა თუ არა ალექო სახლში, ობლები წინ შემოეგებენ და ცრემლიანის თვალებით მადლობას სწირავდენ მას ამოდენა სიკეთისთვის. გადაეხვიენ, ჩაჰკოცნეს, მადლობდენ. ეფერებოდენ, ლოცვიდენ. ალექო კი განცვიფრებული შეჰყურებდა აი საქმე რაშიდ იყო:—ვიღაცას ერთი დიდი შეკვრა ბოლჩა გამოეგზავნა ობლებისთვის ყოველივე საჭირო ნივთეულებითა და სამასის ფრანკით. ობლებს კი ეს ალექოსგნით ეგონათ. მხოლოდ როცა ალექომ უთხრა: «ეს ჩემი გამოგზავნილი არ არისო» ყველანი გაკვირდენ და ვერ მოეფიქრებიათ, საიდან უნდა ყოფილიყო ეს ძღვენი გარდა ამისა ეხლა სადარდელად ალექოს მდგომარეობაც გადაექცათ, რა სცნეს, რომ ალექოს მათი გულისთვის თავი გაუყიდია სამი წლით. მხოლოდ უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა სიტყვის გაუტეხლად და ეს უკანასკნელი კი (სიტყვის გატეხა) დიდ უსვინიდისობად მიაჩნდა მას.

ამ დღიდან ობლების ბედი გამოიცვალა, ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგს დღეებზედ მათ სადღაიდანაც ყოველივე საჭირო მოსდიოდათ. მაგრამ ობლები მაინც მუშაობას თავს არ ანებებდენ: ქსოვდენ, ჰრიდენ, კერავდენ და ნელ-ნელა სამზითოს იმზადებდენ. „თავ-გოროხა“ კი მეცირკესთან ერთად ევროპაში მოგზაურობდა...

იასე რაჭველი

---

## (უკითხავი პასუხი).

მე მას ვაფასებ კაცებში კაცად,
ვინც იღებს ტვირთად ვალს კაცობრიულს,
ვის სულის საზრდოდ აქვს უფლის მცნება,
ვინც ჰფენს შარავანდს წმიდა ზეციურს.

რომელმანც გვამცნო: «ვიყვარებოდეთ
ურთიერთ შორის და ერთობითა,
აღვიარებდეთ ჭეშმარიტებას
ერთის თვისებით, ერთის გრძნობითა“.

მანვე გვიბრძანა: «გაჭირვებული,
ვინც უნდა იყოს, ჩვენი ძმა არი!
მეც მის თანახმად მიყვარს ის კაცი,
ვინც მოყვსის შემწედ მუდამ მზა არი.

და ვინცა მშობელს, ყოვლად საგრძნობელს,
სწირავს თვისს სისხლ-ხორცს ჟამს შეჭირვების,
მეც უფლის თანხმად მას ვარჩევ მარად,
იგია ღირსიც „რჩეულ“ წოდების.

ვინც არის მონა ვერცხლეულობის,
ვისიც «მრწამსია» მხოლოდღა კუჭი,—
მას მოუწამლავს სულის თვისება
პირუტყვებ ქმნილა მძოვრი რამ ფუჭი.

ეს ვით ედრება იმ კაცად-კაცებს—
ვისიც თვისება შეადგენს ნებას—
ხატად და მზგავსად ვისიცა ჰქმნილა,
და კაცობრიულს ასრულებს მცნებას?!

თ-დი როსტომ გუძა ჩიქოანი.

---

### საისტორიო მასალა

# საქართველოის
## ძველი დროის თავგადასავალი.

გაგრძელება *.

აქა დიმიტრი ქართველთ მეფის ყეენის წინაშე წასვლა და მისგან მეფობის დამტკიცება და პატივითა გამოსტუმრება და სადუნისათან გამოტანება ყეენისაგან, რათა განმართოს საქმე საქართველოისა ვინადგან თათარნი ქრისტიანეთ არ ენდობიან.

მოკრბნენ ქართველნი ერთობით მცირნი და დიდებულები,
ჰკადრეს დიმიტრი მეფესა სიტყვანი განკარგულები,
წარვიდეთ დიდსა ყეენთან მას შენთვის ილმოს გულები,
მოგცეს მან ჩვენი მეფობა არ ვიქმნეთ დაკარგულები.
წარვიდა მეფე ისმინა იქმს თვისთა ყმათა ნებასა,
ეგრეთვე ისმენს ყოველსა თვის ერთგულთ მოხსენებასა,
ამისა მხედსა ერთობით ჰკადრებენ მეფეს ქებასა,
მივიდნენ ყეენს ეახლნენ სცემს პატივს არა ვნებასა.
სთხოვეს ერთობით ყეენსა ქართველთა ერთის პირითა,
მოგვეც დიმიტრი მეფედო მაგის ყმანი ვართ ძირითა,
ყეენი მსმენი ამისი იქმნა ძლიერად ლხინითა,
მყისვე უბოძა მეფობა დიმიტრი არ ვალს ჭირითა.
პატივ სცა ყოვლთა ქართველთა წყალობა უყო დიადი,
მეფემან სთხოვა გამიშვით შინ საქმე მიძსო ფრიადი,
ყეენმა იგი გაუშვა არ იქმნა მასზე ზვიადი,
ხადუნი თანა ატანა მანც სჭამა ქართველთ ხმიადი.
მოვიდა მეფე ტფილისა შექმნეს ქართველთა ღრეობა,
მეფე მხნე ღთისა მოსავი აქვნდა მას დიდი სვეობა,
ყმათა მისცემდა მრავალსა უქმნა ქვრიობით მწეობა,
სადუნიც ტკბილად აქებდა ქართველთ მოჰფინა მზეობა.
ქართლი აღივსო მოშენდა რაც იყო ოხრებულია,
აწ ეგვიპტელთზე ყეენი იქმნების ლაშკრებულია,

---

*) იხილე „მწყემსი“ № 11, 1898 წ.

თან წარიტანა ქართველნი მეფითურთ რაზმებულია,
დამარცხდა სპარსთა მხედრობა ეგვიპტით წყინებულია.

მაშინც გამოჩნდნენ ქართველნი მეფისა ჯარად ხლებულნი,
დამარცხებაში შეიქმნენ სპარსებზე მეტად ქებულნი,
ყეენი განჰსწყრა მოიხმო ფარსმანთან თანა ხლებულნი,
იგინი სრულად დახოცნა სარდალნი ცუდად რებულნი.

მოვიდა მეფე ტფილისად ყოვლნი დიმიტრის აქებდეს,
მტერი აღუჩნდა თუ სადმე მყისვე სიმხნითა არბევდეს,
მოხსენცა მეფეს ტრაპიზონს მეფის ასული ნაზობდეს,
ტრაპიზონისა მეფესა მეფე ქართველთა მოყვრობდეს.

აქა დიმიტრი მეფისაგან ტრაპიზონის მეფის ქალის თხოვა და ცოლად შერთვა.

მეფე ამისი მსმენელი იქმნა მის ქალის მთხოველი,
ელჩი გაგზავნა იქმენო აწ გზასა ზედან მსწრობელი,
მისწერა მეფე ქართველთა ვარ მეფევ შენდა მხმობელი,
მიბოძე ცოლად ასული შენი ჩემდ ლახვარ მსობელი.

ტრაპიზონისა მეფემან ჰქმნა ქართველთ მეფის ნებანი,
მოსცა ასული დიმიტრის უქმნა გულისა ლხენანი,
ჰყო მეფემ მაზე ქორწილი შეიქმნა შემოკრებანი,
ლხინი შეიქმნა დიადი განცხრომა მრავალ შვებანი.

დაორსულდა დედოფალი ტრაპიზონის მეფის ქალი,
უშვა მეფეს დიმიტრისა ვაჟი დავით არა ქალი,
კვალად იყო შვება დიდი მუნ განცხრომა საკვირველი,
შვა მეორე დავითის ძმად ვახტანგ ფეხათ იქმნა მალი.

აწ მოვიდა აღმწერელი ყეენისგან მოგზავნული,
ვითა პირველ სცნეს კვლავც ეგრე არს ოხრილ თუ შენებული,
იგი არღუნ ვინ ზემოთვე დავითის დროს ხსენებული,
ვერღა იყო იმოდენი რაც პირველ ჰყვეს წერებული.

იხილა არღუნ მეფისა და თამარს ვის სახელს სდებდიან,
მ:ძეო მეფე და შენი თამარ რომ შენა გდობიან,
ძესა ჩემს მივსცეთ მეუღლედ ჩემს სრასა შეამკობდიან,
მაგრამ მეფედ თათრისა მიცემას ჰმუნვარობდიან.

ვითა მივსცე თათარს დაჲ მეფე არის ამის მხმობი,
მაგრამ ღონე არა იყო არ მიეცა უქმნას მჰსტრობი,
მისცა დაჲ მშვენიერი ვინ მთვარისა იყო მჯობი,
ჰქმნეს ქორწილი ჯეროვანი ჰყვეს თამარი თათრის მკობი.

გათავდა ლხინი ქორწილი მეფე არს მოსვენებითა,
აბაღა დიდმან ყეენმან ჰყო ჯართა კრება შვებითა,
ძმას მანგი-დემურს უბრძანა ჰყავ ეგვიპტელნი ვნებითა,
ქართველთა მეფეც დიმიტრი თან გყვანდეს რაზმის წყობითა.

აქა ყეენის აბაღასაგან თავის ძმის მანგუდემურის დიდის ჯარით გაგზავნა და ქართველთა თან გაყოლა და დიმიტრი ქართველთა მეფისაგან ხელის გამოღება და ყეენისაგან დიდი წყალობა და პატივი მისა და ყმათა მისთა.

გიწერ ყეენი აბაღა მეფესა ქართლსა მჯდომელსა,
ისმინე მტერთა ქართველთით უყოფდი ხმალსა მსობელსა,
ეგვიპტით მოდით შვებულნი არა ჰგყოფ ცუდა მშრომელსა,
თენ გუთარს ახლდი ჩემს ძმასა ვით ძმასა ვითა მშობელსა.

მეფემან ოდეს იხილა აბაღას წიგნი მკობილი,
მყისად ჰყო რაზმი ქართველთა თით-თითად დასად წყობილი,
თენგურს იახლა მეფეჲ ეგვიპტედ წასვლად მსწრობელი,
ვინცა დაუდგეს მებრძოლი მეფეს კაცთაგან შობილი.

იყო მეფე მოწინივე მინდორს მივა ცხენის ცურვით,
როს მტერს შეხუდნენ მიეტევნენ მყის ქართველნი დიდის სურვით,
რაზმი მათი დაცაფრინეს ეგვიპტელნი სისხლ-მოწურვით,
ეგვიპტელთა თენ გუთარის დასტანი ჰყვეს მარცხით ურვით.

თენგუთარ გამოაქციეს ეგვიპტელთ ჰქონდათ ხლტომანი,
ქართველნი მუნვენ იბრძოდნენ ვით ვეფხნი ვითა ლომანი,
მეფესა ცხენი მოუკლეს ვერ უქმნეს ქართველთ მხობანი,
მაინც მძლეველნი მოცარჩნენ თუმც იქმნენ ცუდი შრომანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა ერთ ჩხარეს ქართველთა გაიმარჯვეს და მეორეს ეგვიპტელთა თენგუთარ ყეენის ძმა გამოაქციეს და ქართველნი დამარცხებაშიაც გამარჯვებულნი გამოვიდნენ და მოვიდნენ წინაშე ყეენისა და მუნ მელექსე ვინმე საზანდარი იტყოდა ქართველთა ქებას და ამის გამო ამალა სცა დიადი მეფესა და ქართველთა დაითხოვა სახლადვე თვისა.

თენგურ მოვიდა აბალა თუმცა იქმოდა წყენასა,
მაშინ მუნ მყოფი მეჩანგე იტყოდა ლექსით ქებასა,
ქართველთა მეფეს აქებდა და მისთა რაზმთა წყობასა,
ეჰა ყეენო უყოფდი ქართველთა დიდსა მკობასა.
ყეენი დიდსა წყალობას მისცემდა გიორგიელთა,
მეფეს დიმიტრის და ყმათა ომითა დიდად მშრომელთა,
აწ წადი ქართსა ჰყავ შვება წასვლა გიძსთ ცოტა შორელთა,
ვანანო კვალად მეგვიპტელთ ვამსგავსო მკმენ მორიელთა.
მოვიდა მეფე ტფილისად თან ახლდნენ დიდებულები,
მოყმენი მხნენი ქართველნი ძველადვე გამოცდილები,
შეიქმნა ყოვლ დღე განცხრომა მეფისა ადგათ ჩრდილები,
ბაღსა იშვებდენ ღვინოს სმენ ჰჭამენ მათ ბევრი ხილები.

აქა აბალა ყეენის სიკვდილი და ძმისა მისისა ახმადის გაყეენება.

მოვიდა კაცი მოკვდაო დიდი ყეენი აბალა,
დაჯდა ძმა მისი ახმადი რისხვით არავინ დადალა,
მჯობი მოწყალე ყოველთა მშვიდი ვით იყო აბალა,
მეფე დიმიტრი წარვიდა ალმად იხილა და რალა.
მაინცა მისცა მეფობაჲ დიმიტრისა სახელ დებით,
აწ წადიო ქართლსა შიგან იხარებდი იყავ შვებით,
მემსახურე ვითა ძმასა ჩემგან იქმნე განმშვენებით,
არ მერჩდები შენვე ბრალი შენდა იყოს დიდის ვნებით.
წარმოემართა მოვიდა იქმოდა თვისა ნებასა,
მტერი არ ჰყვანდა ვერავინ უზმიდა ოხვრა კლებასა,
მოკვდა კვალადცა ყეენი ახმად ვერ მიხვდა შვებასა,
არღუნ დაცაჯდა ყეენად ჰყოფდა თვით ყოვლ დღე ვნებასა.
მეფეს ჰყვანდა ოთხნი ძენი დავით იყო პირმშო ძეო,
ვახტანგ იყო ვითა გმირი ძმა დავითის მეფის ძეო,
აწ მესამე მანუილი დიმიტრისა იყო ძეო,
გიორგიცა ბრწყინვალებით ბოლოს ითქუას მისი სვეო.

---

# ახალი ამბები და შენიშვნები.

მეფუტკრეთა კრებები, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, დანიშნულია ეკატერინოდარში 6—9 აგვისტომდე, კავკავში 10—15-მდე და ტფილისში 15—18 აგვისტომდე.

—

გორის ეპისკოპოსის, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თხოვნით საქართველოს ექსარხოს ნება დაურთავს დაიბეჭდოს და დაურიგდეს ყველა ეკკლესიებსა და სკოლებს იპოლიტოვ-ივანოვას მიერ ნოტებზე გადაღებული ივანე ოქროპირის წირვის გალობა.

—

ამ წელს ტფილისის ალექსანდრეს სამოსწავლო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა სულ 12 ყმაწვილმა კაცმა. მათ შორის ქართველი მხოლოდ ერთია —თედო ანთელიძე.

—

ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში წელს სწავლა სულ 33 ქალმა დაამთავრა. ქართველი ორია: ან ყიფიანისა და თამ. მაყაშვილისა. ამ უკანასკნელმა ოქროს მედალი მიიღო საჩუქრად.

—

10 ივნისს მოწმობები დაურიგეს იმ ქალებს, რომელთაც დედათა პირველი გემნაზიის 7 კლასი გაათავეს. 59 ქალმა მიიღო მოწმობა. ქართველი მათ შორის ორია—ანნა ოქრომჭედლიშვილისა და ელ. ჩიჯავაძისა.

---

## რედაქციისაგან.

ზოგიერთებს გაზეთი მიდის და როცა ფულს აგზავნიან, იწერებიან, რომ ნომრები გამოუგზავნეთო და განმეორებით მისდისთ გაზეთის ნომრები. ვთხოვ ყველას, როცა ფულს იგზავნებიან, შემოთვალონ, რომ გამოსული ნომრები გაზეთისა მიღებული აქვსთ და რომელთაც არ მიუღიათ, იმათ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველ ნომრიდან.

რედაქტორი.

—

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე

## სიტყვა,

### პეტრე-პავლობის დღესა.

განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა

> სიბრძნესა მათსა მიუთხრობენ ერნი, და ქებასა მათსა აღიარებენ ეკკლესიანი (ისუ. ზირაქი 44, 14).

წარჩინებული ძველი აღთქმის მწერალი და ზნეობის მასწავლებელი, ისუ ზირაქი, წიგნსა შინა თვისსა აღწერს ცხოვრებას და მოღვაწეობასა ზოგიერთთა ძველის აღთქმის წარჩინებულთა პირთა, და, სხვათა შორის, ამას იტყვის მათზედა: «სიბრძნესა მათსა მიუთხრობენ ერნი, და ქებასა მათსა აღიარებენ ეკკლესიანი».

იგივე სიტყვები ისუ ზირაქისა უაღრესად და უდიდესი სიმართლით ჩვენ, შვილთა ახლისა აღთქმისათა, შეგვიძლია ვსთქვათ, წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესა ზედა. დღეს ყოველნი ქრისტეს მორწმუნენი ერნი და ყოველნი ეკკლესიანი, არა თუ მხოლოდ მართლ-მადიდებელნი, არამედ არა-მართლ-მადიდებელნიცა, „სიბრძნესა მათსა მიუთხრობენ, და ქებასა მათსა აღიარებენ». დღეს ურიცხვნი ერნი, ყოველთა ეკკლესიათა შინა შეკრებილნი, ყოველთა საღმრთო წიგნთაგან, სამოციქულოისაგან, სახარებისაგან და სხვათა ყოველთა ეკკლესიურთა წიგნთაგან, მოისმენენ ქებასა მათსა, და ეგრეთვე სიბრძნესა მათსა, თვით მათი დაწერილი წიგნებიდგან ამოკითხვითა.

გარნა, საყვარელნო ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, აწინდელს დღესასწაულს აქვს მეორე, ამაზე უდიდესი მნიშვნელობა. წმიდამან ეკკლესიამან დღევანდელი დღესასწაული მარტო მისთვის არ დააწესა, რომ მხოლოდ ვაქოთ და ვადიდოთ წმიდანი თავნი მოციქულნი პეტრე და პავლე, არამედ უმეტესად მისთვის, რათა ჩვენ ვხედვიდეთ მათ შორის მაგალითსა და, შეძლებისა გვარად, ვბაძევდეთ მათსა ცხოვრებასა და მოღვაწეობასა: „მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესა“, გვასწავლის ჩვენ თვით წმიდა მოციქული პავლე. რა საქმეში უნდა ვიყოთ ჩვენ მათი მიბაძავი? იმ საქმეში, რომელიც იყო უმთავრესი საგანი და მიზანი მათის შრომისა, მოღვაწეობისა, რომელთათვის იგინი თავის თავს არ ჰზოგვიდენ, რომლისათვის მათ მრავალ-გზის სისხლი დასთხიეს და, ბოლოს, ცხოვრებაც თვისი შესწირეს, —ეს არის ქრისტე იესოს სახარების ქადაგება ქვეყანასა ზედა, ღვთის სასუფეველის განვრცელება კაცთა შორის, მოქცევა ღვთისადმი და განათლება ყოვლისა კაცისა.

როგორ ჰფიქრობთ, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, ვისი საქმე და მოვალეობა არის ქრისტიანობის ქადაგება, გავრცელება, ცოდვილთა კაცთა მოქცევა და განათლება? სამწუხაროდ, თითქმის ყოველნი ახლანდელნი ქრისტიანენი დარწმუნებულნი არიან, და სხვა ფერად არ ჰფიქრობენ, რომელ ეს საქმე და მოვალეობა ეკუთვნის მხოლოდ ეკკლესიის მსახურთა, მღვდელთა და ბერთა. ერის კაცს ფიქრადაც არ მოუვა გულში, რომ ქრისტიანობის გავრცელება და სახარების ქადაგება არის საზოგადო და საერთო მოვალეობა ყოველი ქრისტიანი კაცისა, თუ გინდ მღვდელი იყოს, თუ გინდ ერის კაცი. ახლა სრულიად დავიწყებულია ეს აზრი, გარნა ადვილად შეგვიძლია დავამტკიცოთ მისი სიმართლე. მარტო ერთს უბრალო დამტკიცებას მოვიყვან. აილე, ძმაო ჩემო, ჟამნი, დაათვალიერე ყოველი დღისა და რიცხვის, რომელიც სწერია, სახელები წმიდანებისა, რომელთა ხსენებასა აღასრულებს წმიდა ეკკლესია დღითი-დღე. რას ჰნახავ იქა? ჰნახავ, რომ, თუმცა, მართალია, მრავალ-გზის სწერია სახელები მღვდელ-მოწამეთა, მღვდელ-მთავართა და სხვათა სამღვდელო პირთა, გარნა უმეტესი ნაწილი სახელებისა, ჟამნში მოხსენებულთა, არიან ერის კაცთა, დიდთა მოწამეთა, ღირსთა მეუდაბნოეთა და სხვათა, რომელნი არა იყვნენ ტრაპეზის მსახურნი, არამედ ერის კაცნი; ჰნახავ ჩაწერილთა ყოველი წოდების ერის კაცთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმთა, მხედართა, ვაჭართა, უბრალო მოსამსახურეთა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა. ამაზე მომეტებულად შესანიშნავი ის არის, რომელ მრავალ-გზის შეჰხვდები სახელებსა მდედრის სქესისათა, ქალწულ-მოწამეთა, ღირსთა დედათა. რისთვის ჩასწერა წმიდამან ეკკლესიამან ჟამნში იგინი და რისთვის აღსრულებს მათსა ხსენებასა? მისთვის, რომ იგინი იყვნენ ქრისტეს სახარების მქადაგებელნი, და ქრისტიანობის გავრცელებისათვის მიიღეს მრავალი შრომა, ზოგიერთთა სიკვდილიც. საკმაო არის ეს მაგალითი დასამტკიცებლად მისა, რომ ყოველი ქრისტიანე, თუ გინდ ერის კაცი იყოს, უნდა სცდილობდეს ქვეყანასა ზედა, შეძლებისა გვარად, გავრცელებას და განმტკიცებას ქრისტეს სჯულისას.

მართლა, თუ ქრისტეს სარწმუნოება და სასოება ცხოველი არის კაცის გულში, მაშინ არ შეიძლება, რომ კაცი არ ეცადოს გარდაცემას, ანუ გავრცელებას თვისი გრძნობისა და სასოებისა სხვათა კაცთა. ნიშანი, ანუ მაჩვენებელი ცხოველი სარწმუნოებისა, არის მოქმედება, გავრცელება, გარდაცემა მისი სხვათათვის. კარგია ისიც, როდესაც სარწმუნოება მოქმედებს კაცის გულში, აკეთებს და ასწორებს მისსა საკუთარსა ცხოვრებასა, გარნა უმჯობესი ის არის, როდესაც, ამასთანავე, მას ეგოდენი ძალი და მოქმედება აქვს, რომელ თვისსა ცხოველობასა გაავრცელებს სხვათა კაცთა ზედაცა. რით ვიცნობთ ჩვენ ცეცხლს? მით, რომ იგი ათბობს და უნათებს ყოველ კაცს გარემოს თვისსა. მსგავსადვე უნდა იცნობებოდეს კაცი, ცხოველი სარწმუნოების მექონი.

რა საშუალებით უნდა აღასრულოს ერის კაცმა ეს თვისი საღმრთო მოვალეობა, ესე იგი ქრისტიანობის გავრცელება და განმტკიცება. ათასნი არიან ღონენი და ხერხნი, რომელთა ხმარება ამ საქმისათვის შეუძლია გონიერსა კაცსა. თვით მისი ჭკუა და თვით მისი სარწმუნოების ცხოველობა უჩვენებს მას და აუხსნის, როდის და სად რომელი ღონე უნდა იხმაროს ამ საქმისათვის. უპირველესი საქმე კი ის არის, როდესაც თვით საკუთარი ცხოვრება და ყოფაქცევა ქრისტიანი კაცისა, არის მართალი და პატიოსანი, ისე, რომ უსიტყვოდ აღაშენებს და უხმოდ დაარიგებს მხედველთა თვისთა. ამისთანა ცხოვრება უფრო სასარგებლო არის, ვიდრეღა მრავალი ენით ლაპარაკი და ქადაგება. გარნა, სადაც საჭირო არის, ხმაც უნდა ამოიღო და ენაც ახმარო სამხილებელად ურწმუნოთა, აღსადგენელად სუსტთა, უსუსურთა. ბოლოს, თუ სხვა არაფერი შეუძლია კაცს, თავის ქონებისაგან და ნაყოფისაგან უნდა შეეწეოდეს ქრისტეს სახარების გავრცელებასა.

ძმანო ჩემნო საყვარელნო! მოისმინეთ, ბოლოს, კიდევ ერთი აზრი. ახლა ისეთი დროება დადგა ამ ჩვენს ქვეყანაში, რომელ ჩვენ თანდათან უახლოვდებით, ვიკითხავთ, ვტყობულობთ უცხო ქვეყნების მეტადრე ევროპის განათლებულ ხალხთა ამბავსა, მათსა ზნეობასა, ყოფაქცევასა, აზრსა. სამწუხაროდ, მათ შორის არა ყოველიფერი არის კეთილი და მოსაწონი. საუბედუროდ ჩვენდა, ცხადად სჩანს, რომელ მათგან, ესე იგი უცხო, განათლებულის ქვეყნების ჩვეულებათაგან, ჩვენ ხშირად მივიღებთ იმას, რაიცა არ არის მოსაწონი, არამედ არის წინააღმდეგი ღვთისა და ღირსი ძაგებისა; ხოლო რაიცა მართლა არის სასარგებლო და რასაც უნდა ვტყობულობდეთ და უნდა ვბაძავდეთ, იმას არ ვტყობულობთ და იმაზედ ყურადღებას არ მივაქცევთ. მაგალითებრ, თვით ის აზრი, რომელსაც ჩვენ ვამტკიცებთ ამ ჩვენს



წმიდანი თავნი მოციქულნი პეტრე და პავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელს სიტყვაში, ესე იგი, რომ ყოველი ერის კაციც თანამდებ არს შეეწიოს ქრისტიანობის განმტკიცებასა, ფრიად ცხოველი არის და მოქმედებს ევროპის განათლებულთა ხალხთა შორის. იქ არიან შედგენილნი ამ საქმისათვის მრავალნი საზოგადოებანი, არა თუ სამღვდელოთაგან, არამედ ერის კაცთაგანაც. ვისაც თვითონ არ შეუძლია წასვლა უცხო ქვეყნებში და ქადაგება, იგი თავის ქონებით, ფულით შეეწევა ამ საქმესა. ყოველ ენებზე სთარგმნიან და ჰბეჭვდენ საღმრთო წერილსა; მერე წაიღებენ და დაურიგებენ უსასყიდლოდ ყოველთა, ვისაც კი ჰსურს წაკითხვა საღმრთო წერილისა. ხსნიან შკოლებს, ზრდიან ობლებს. იქნება აქაც, ჩვენს ქვეყანაში, შეჰხვდე ძმაო, რომელსამე უცხო ქვეყნის ერის კაცს, რომელსა დააქვს საღმრთო წერილის წიგნები, ფრიად მშვენიერად გადაკრული, ყოველ ენებზე, თვით ქართულზედაც, და ფრიად იეფად, თითქმის მუქთად ჰყიდის. აჰა მაგალითი, რომელსა უნდა ვბაძევდეთ ჩვენცა, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი! საუბედუროდ, ამისთანა მაგალითებს კი არ მოგიყვანენ და გეტყვიან იგინი, რომელნი იქადიან განათლებასა ნახვითა და ცნობითა და მოგზაურობითა განათლებულს ქვეყნებში. ნაცვლად ოქროისა და თვალ-მარგალიტისა, იგინა ხშირად ევროპიდგან ტალახსა და მყრალსა ნაგავსა გვიზიდავენ ჩვენ, რომელიც ჩვენშიაც უხვად არის. ნუ დაუგდებ, ძმაო, ყურს ამისთანა პირს, თუ არ გსურს, რომ გაისვარო. ნაცვლად ამისა ამხნევებდე და ანათლებდე სულსა შენსა პატიოსნითა სწავლითა და მაგალითებითა, მეოხებითა წმიდა მოციქულთა თავთა პეტრე და პავლესითა. ამინ.

# საეჭვო კითხვების განმარტება.

---

**კითხვა.** როგორ უნდა წარმოსთქვას მღვდელმა მშვიდობიანის სიტყვები: «აღმაშენებელთა წმიდისა ამის ეკკლესიისათა», «ძმათა წმიდისა ამის ეკკლესიისათა», «წმიდისა და ყოვლად პატიოსნისა ეკკლესიისა», როცა ლოცვა სრულდება არა ეკკლესიაში, არამედ სახლში, ქარხანაში, რკინის გზის სადგურზე, ან სადმე ველზე?

**მიგება.** ჩვენ ვფიქრობთ, რომ მშვიდობიანში არავითარი სიტყვის შეცვლა არ შეიძლება, რადგან ეს სიტყვები ეკუთვნება იმ ტაძარს, რომელზედაც მსახურებს ზემო ხსენებული სიტყვების წარმომთქმელი კრებული. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კერძო შენობაც, სადაც შეკრებილან მლოცველები, შეადგენს ეკკლესიის ნაწილს.

**კითხვა.** როგორ უნდა იდგეს გვირგვინის მაკურთხეველი მღვდელი, როცა წარმოსთქვამს: «უფალო ღმერთო ჩვენო, დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ ესენი», სასიძოს და სასძლოსკენ უნდა იყოს მიმართული, თუ ტრაპეზისაკენ? ზოგიერთი მღვდლები ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ტრაპეზისკენ არიან მიქცეულნი და ამ სიტყვების გათავების შემდეგ მობრუნდებიან და აკურთხებენ მეფე-დედოფალს. რომელია კანონიერი?

**მიგება.** რიგიც და კანონიც ითხოვს, რომ მღვდელი, რომელსაც ხელში უჭირავს გვირგვინები, მიქცეული უნდა იყოს მეფე-დედოფლისაკენ სამგზის ამ სიტყვების წარმოთქმის დროს... «უფალო ღმერთო ჩვენო, დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ ესენი».

**კითხვა.** შეიძლება თუ არა, რომ ერთი სეფისკვრისაგან, რომელიც მოუტანია მიცვალებულის პატრონს, მღვდელმა მოიხსენოს ცოცხალნიც და გარდაცვალებულნიც, როდესაც არიან მლოცველები და მღვდელს კი ერთი სეფისკვრის მეტი არა აქვს მათ მოსახსენებლად?

**მიგება.** შეიძლება. ეს წესი, თითქმის, ყველ[illegible]სიებში აქვსთ შემოღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა. ვის ეკუთვნება მლოცველთაგან სამსხვერპლოზე შემოსული ფულები სეფისკვრიდან მოსახსენებელი ნაწილების ამოღებისათვის?

მიგება. თუმცა განსაკუთრებითი კანონმდებლობა არ არის ამის შესახებ, მაგრამ ერთი კერძო საქმის გამო უწმიდესმა სინოდმა გარდასწყვიტა, რომ სამსხვერპლოზე შემოსული ფული ეკუთვნის მწირველ მღვდელს, რომელიც ასრულებს მოხსენებას. ეს წესი უნდა იქნეს დაცული ყველა ეკკლესიებში.

კითხვა. სემინარიის და ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მღვდლები—მოძღვრები რომელ პენსიას დაიმსახურებენ?

მიგება. სემინარიის და ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ეკკლესიის მღვდლები შტატის სამსახურში არ ითვლებიან, მაგრამ როგორც სხვა მრევლის მღვდელთა ოცდა თხუთმეტი წლის სამსახურისათვის ეძლევათ სრული პენსია—130 მ. წელიწადში.

კითხვა. გულ-საკიდი მედალი, რომელიც ეძლევათ მღვდელთ ღვთივგანსვენებული იმპერატორის ალექსანდრეს მესამის მოსაგონებლად, უნდა იქნეს თუ არა ჩაწერილი ნამსახურებითი სიაში როგორც სხვა ჯილდო?

მაგება. ეს მედალი მიეცა სამღვდელოებას არა როგორც ჯილდო მათი სამსახურის განსხვავებისათვის, არამედ მოსაგონებლად განსვენებული ხელმწიფის ალექსანდრე მესამისა. ეს მედალი ეძლევათ იმ მღვდელ-მოსამსახურეთ, რომელინც მსახურებდენ ამ განსვენებული ხელმწიფის დროს, და ამისათვის ეს მედალი ნამსახურებითი სიაში არ უნდა იქნეს ჩატანილი.

---


# განცხადება.

კერძო საავადმყოფო ამბულატორიითურთ

## ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავადმყოფოში დგას ო ც ი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს
ექ. ს. ბ. თოფურია.
ხირურგულ, შარდით და სიფილისით
ექ. ფ. კ. გერრატი.
დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი-
ექ. მ. ფ. კოგანი.
თვალების ავათმყოფისათვის
ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.


---

შ ი ნ ა ა რ ს ი:


**სალიტერატურო განყოფილება**: საუბარი მდიდრული ჩაცმა-დახურვის წინააღმდეგ.—ოჯახის კერა, მამაკაცი და დედაკაცი.—სამეცნიერო ცნობა: კუდიანი ვარსკვლავი.—ძვირფასი ხატები.—უკითხავი პასუხი, ლექსი.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი, საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე**: სიტყვა პეტრე-პავლობის დღეს.—საეჭვო კითხვების განმარტება



რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 іюня 1898 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

...кціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.